138
1920 09
ეროვნული ბიბლიოთეკა

# ნაკადული



საყმაწვილო ჟურნალი მცირეწლოვანთათვის

1920 წ. თებერვალი № 3.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ნაკადული

წელიწადი მე-XVI. № 3. თებერვალი, 1920 წ.



სწავლული ქალბატონი.

F-5821

ეროვნული ბიბლიოთეკა

# შინაარსი:


I. სწავლული ქალბატონი, — სურათი. . . . . . . . 1

II. დილა, — ლექსი შიო მღვიმელისა . . . . . . . . 3

III. ჩვენი ლადო, — (დასასრული) ნიკო კეცხოველისა. . . . 5

IV. ნაპოვნელა, — ზღაპარი გ. კოლელიშვილისა . . . . . 10

V. ქარი, — ლექსი გ. კოლელიშვილისა . . . . . . . 16

VI. ჩვენებური ფრთოსნები: გუგული — ჰ. საყვარელიძისა . ; . 17

VII. ჭიანჭველას საოცარი თავგადასავალი, — სკორცოვისა (შემდეგი) თარგმანი კაკისა . . . . . . . . . . . 20

VIII. სიცილი თოვლში, — ლექსი დ. კასრაძისა . . . . . 23

IX. გასართობი: რებუსი და ახსნა. . . . . . . . . 24

ეროვნული ბიბლიოთეკა



# დილა.

ყმაწვილებო, განთიადი
გადაიქცა ნამდვილ დილად,
მას ღრუბლები აღარ ჰფარავს,
არც კუმშად და არც გაშლილად.

მშვენიერს და ლამაზ დილას
მზეც თან დაჰყვა ლაღი წყნარად,
ფრთა გაშლილი სუყველაფერს
ზედ დაადგა ოქროს ფარად.

სიბნელეში ყოფილ არეს
სხივებს ჰფენს და უნარნარებს,
თვალებიდან აცლის ფრთხილად
შიგ ჩარჩენილ ეკლის ნარებს...

გრილი სიო უქრის დილას,
გიჟმაჟობს და დანავარდობს;

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღეს ბუნების ზამთარია,
მაგრამ ველიც ია-ვარდობს.

მძინარე ხის კენწეროებს
ცრემლი სდით და იშლებიან,
თვით თოვლი და ყინულები
წყაროებად იცლებიან.

ფრინველები?.. რადა გითხრათ,
ერთი სიტყვით ხარობს ყველა;
ეს დილაა საქართველოს
აღდგენა და მისი შველა!

ყმაწვილებო, მომილოცავს
ჩვენი ქვეყნის ლაღი დილა;
მზე თან ახლდა ჩუმ დარაჯად
და ვერავინ ვერ დაჩრდილა.

ვინძლო კარგად მოუაროთ,
ზედ დაადოთ სული, გული,
თქვენი არის, გენაცვალეთ,
ეს დილა და გაზაფხული...

შიო მღვიმელი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ჩვენი ლადო.

(დასასრული)

ერთ ზაფხულის დღეს, დილა ადრიანადვე ისარივით გამოვარდა ლადო სახლიდან და მხიარული სტვენით დაეშვა ქვემოთ ჭალებისაკენ. ხან ცალ ფეხზე შესდგებოდა და ასკინკილა წავიდოდა, ხან შესდგებოდა და ყურებ-აცქვეტილი მკვირცხლი თვალებით ბუჩქებს დააცქერდებოდა: იქნებ აბა ჩიტის ბუდე დავინახო სადმეო; თვალებს აბრწყინებდა და ქვეით გასწევდა. სამი-ოთხი დღის წინად პატარა ნიბლიას ბარტყები, ჯერ შეუბუმბლავი და ტიტვლები, ცხენის ძუით ბუდეში ნახა. ასე არ გაფრინდებიან, როცა დაიზრდებიან, დედა საჭმელს უზიდავს, დასუქდებიან და მერე ამოვსხამო,—ასე ფიქრობდა მაშინ და დღეს კი მისი აზრით უკვე კარგები იქნებოდნენ და თავის ჩანაფიქრის ასასრულებლად გარბოდა ეგ ცელქი და დაუდეგარი.

აგერ შეერია კიდეც მწვანე ხასხასა ბუჩქებს და ქურდული თვალებით გაძვრა-გამოძვრა ნარ-ეკლებში. იმისთვის სულერთი იყო—დაეხეოდა რამე თუ არა; მართალია დედა დატუქსავდა, გაუჯავრდებოდა, მაგრამ ბოლოს მაინც დაუჯერებდნენ.

აგერ ჭყივიან, ალბად დედა-ნიბლიას საჭმელი მოუტანია, მაგრამ ბიჭოს: ასეთი განგაში და საცოდავი ხმა თითქოს არ იციან საჭმლის დროს. საქმე რაშია? ან დედა-ნიბლია ასე თავ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

განწირვით რათა ჭყივის? აგერ დედა ბუდეს დაჰფარფატებს, ხან აქეთ მოუვლის და ხან იქით, ხან ტოტზე ჩამოჯდება, ფრთებს დაილურსავს, გაჩუმდება, ხმას გაკმენდს, შემდეგ ისევ დაიჭყივლებს საცოდავად და გულსაკლავად. ვერ გაეგო საქმე რაში იყო. ერთი ხტუნვით იქ გაჩნდა, სადაც ბუდე ეგულებოდა: ნიბლია კი აფრთხიალდა და თავზე ჭყივილით ტრიალი დაუწყო; ლადომ კი დაინახა, რომ ყველაზე თამამი ბარტყი გადმოვარდნილა ბუდიდან და თავ-დაღმა ჰკიდია. ალბად ძალიან დასუსტებულა, რომ ფრთებს ოდნავ-ღა აქნევდა, პირს ძლივს აღებდა და არავითარი ხმა არ ისმოდა, თვალის ქუთუთოებს თეთრად ატრიალებდა; დანარჩენი სამი კი ერთმანეთს მიჰკვროდნენ და შეშინებული შესცქეროდნენ ლადოს.

ყველა ამის დანახვამ ლადო ცოტა არ იყოს შეაფიქრიანა: ეს პატარა თავ-დაღმა დაკიდული ჩიტი ჩემი მიზეზითა კვდება. აგერ დედა-ნიბლია რა ამბავშია! ამის გაფიქრებამ გული აუჩუყა და კინაღამ ცრემლიც არ მოადგა თვალში. მსწრაფლ ჩამოხსნა ფეხიდან ძუა ჯერ ყველაზე გაჭირვებულს და დაისვა ხელზე. იგი მეტად დასუსტებულიყო, მალე კი მოსულიერდა. იქნებ ლადოს არც-კი რამ გაჰხარებია როდისმე ასე, როგორც ახლა გაუხარდა.

ფრთხილად დასვა ბარტყი ბუდეზე და გაანთავისუფლა დანარჩენები. მათ კი სიხარულისაგან ფრთები აკანკალეს და შესჭყივლეს. ახლა კი დროა მოვეცალოთ,—იფიქრა ლადომ და ფრთხილად გამობრუნდა, ბუჩქში მიიმალა და დაუწყო თვალთვალი: აბა რას იზამენო. რა სიხარული წარმოუდგა თვალწინ, რა სიყვარულით უკოცნიდა პირს დედა-ნიბლია თავის ბარტყებს დ დაჰხაროდა.

ამის მნახველმა ლადომ გადასწყვიტა: ეს არის და ეს, ჩიტების დასაჭერად ფეხსაც არ გადავდგამო.

ამ გადაწყვეტილებამ ისე გაამხიარულა, რომ გული საგულეში აღარ ეტეოდა, არ იცოდა ერბინა თუ ეხტუნა; ყვავილებიც კი აღარ დაჰკრიფა, ამათაც უნდათ სიცოცხლე და მზის სხივებით დატკბობაო. მთელი ჭალა ალაპარაკდა მის გარშემო, ყველას ენა გამოება და თვითონაც ჩაება ამ ფერხულში, შემოჰკრა ტაში ტაშს და უცბად ისეთი სიხარული იგრძნო, რომ კინაღამ ითამაშა კიდეც…

სახლში რომ მიირბინა, გაქანდა დედისკენ და სიხარულით წამოიძახა: ,,დედი, დედილო, ეგ არის და ეგა…

— რა, შვილო?—შეეკითხა სიყვარულით დედა.

— თავის დღეში ჩიტებს აღარ დავიჭერ! დღეს გაუშვი და გავანთავისუფლე კიდეც ჩემი დაბმული ნიბლიას ბარტყები.

— ყოჩაღ, ბიჭო!..—წააქეზა მამამ და დედამ კი ალერსით თავზე ხელი გადაუსვა:—აბა მაშ მე სალამურს გაგიკეთებ და იმით გაართე ხოლმე შენი მეგობარი ჩიტები. ახლა ხომ ისინი შენი მეგობრები არიან, არა!..

— აბა მაშ მალე, მამილო:—შესძახა ლადომ, ვეღარ მოითმინა, მის გარშემო ხტუნვა დაიწყო და მთელი დღე აღარ მოჰშორებია, პატარა კვიცივით უკან დასდევდა, ურჩევდა—სა-სალამური ასე გამოსჭერ, ასე გააკეთეო, და მართლაც სალამური მალე გამოჩარხული იყო. მამამ გასამინჯად ჩაარაკრაკა და პატარა ლადო აღტაცებული დარჩა.

სიხარულით გამოართვა სალამური, ჩაჰბერა, თითქოს ხელებიც აუყოლა, მაგრამ ტკბილი ხმის გამოცემის ნაცვლად სალამურმა მარტო დაიკივლა… ლადომ გაკვირვებით შეჰხედა მამას, თითქოს ეკითხება, ეს რასა ნიშნავსო, სალამური რატომ არ მემორჩილებაო. მამას კი გაეცინა და უთხრა:

— იცი, ლადო, სალამურმა თუ არ დაუკრას, დადექი და

ეროვნული ბიბლიოთეკა

უმღერე: სალამურო, დაუკარ, თორემ წყალში ჩაგაგდებ-თქო, სალამურს შეეშინდება და დაუკრავს...

— ბიჭოს, მართლა! — აღარც კი დაუცადა მამის დარიგებას, გაჰქუსლა სალამურით ხელში და თან გაიძახოდა:

— სალამურო, დაუკარ, თორემ წყალში ჩაგაგდებო. ვალ-ალი-ვალი-დალალო, სალამურო ლამაზო... — თან სალამურს ხელში ატრიალებდა, თითქოს უნდოდა მზისთვის დაენახვებინა თავისი ახალი მეგობარი, ლერწამის სალამური.

ამ სიმღერით მართლაც წყალთან გაჩნდა, მისი საყვარელი „კრიალა“ ლურჯად რომ ციმციმებდა და საბანაოდ რომ იწვევ-და ყოველთვის და ისიც ჭყივილით და კისკისით შეერეოდა მის ტალღებს.

ლადო ჩამოჯდა ქვაზე, ჯერ დარიგება და მუქარა დაუწყო, სალამური მარტო გაჰკიოდა, თითქოს ვიღაც დაჰკარგვია იმას ემახისო.

ლადომ გაკვირვებით შეათვალ-შემოათვალიერა, რა მოუვიდა, რატომ არ მემორჩილებაო და მამის ნასწავლი სიტყვები კიდევ დაჰღიღინა, მაგრამ არ გასჭრა და არა, სალამურს ისეთი ხმა ვერ ამოაღებინა, როგორც წეღან იმისმა მამამ. ცოტა არ-იყოს იწყინა, მოდი წყალში მართლა ჩავაგდებ რა გამოვაო და გაისროლა წყალში.

კრიალამ თავის პატარა ტალღებში ჯერ შეატრიალა სალამური და შემდეგ სწრაფად გააქანა ქვეითკენ თამაშობით. ლადოს დაენანა, უეჭველად სალამური დამეკარგებაო და იკადრა „ვაი დედას“ დამახება, და ტანისამოსიანათვე ჩახტა წყალში. გამოუდგა, ვერ დაეწია. ამოხტა ნაპირზე და ახლა ისე გამოუდგა; რომ გაესწრო, უყელა, ისევ ჩახტა და ბოლოს ხელთ იგდო წუთით მოძულებული თავისი სალამური. მაგრამ სულ კი გაი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

წუწა და დასველდა, ბედად ცხელი დღე იყო, მალე გაშრება. ექტიბარიც აღარ გაიტეხა, დასხდა სალამურს და თითის ქნევით უთხრა:

— არც ახლა დაუკრავო!

ჩამოჯდა ქვაზე—მალე გაშრეო და თან სალამურს ჩაჰბერა, თითებიც ააყოლა.

— გასწორა, გასწორა!—წამოიძახა სიხარულით, როდესაც სალამურმა ცოტა სასიამოვნოდ დაიღუღუნა.

ლადო ერთი კვირის შემდეგ ისე აღუღუნებდა სალამურს, რომ ტოლებში არავინ სჯობდა. ამის შემდეგ ხომ უფრო ხშირი სტუმარი შეიქმნა ჭალისა, იქ დიდიხნობით უკრავდა სალამურს, „ჩიტებს ვართობო", იტყოდა. უნდა მოგესმინათ, რამდენ ნაირად არ აკანკალებდა მის ხმას...

ამ დროს ჭალის გვერდით ვინც ჩაივლიდა იტყოდა: „ეს ჩვენი ლადოა, ჩიტებსართობსო".

აი ამიტომ უნდოდა გაზაფხულის მოსვლა ჩვენ ლადოს ამ ახალწლის ღამეს, რომ ისევ დაჰბრუნებოდა თავის მეგობრებს—ჩიტებს.

ნ. კეცხოველი.



ეროვნული ბიბლიოთეკა




# ნაპოვნელა

(ზღაპარი)

ამ ოჯახის პატრონს ვსთხოვოთ ამაღამ ღამე გაგვათევინოს,—უთხრა ერთმა მგზავრმა ამხანაგებს.

— ძალიან სასიამოვნოა, თორემ შესაძლებელია ამ კუშტ ღამეში ვინმემ იმუხანათოს და ცარიელები დაგვსხას—დაადასტურეს ორმა მისმა ამხანაგმა თანამგზავრებმა.

გზის პირას სცხოვრობდა სტუმართმოყვარე, მაგრამ ღარიბი გლეხი, მას ჰყავდა მეუღლე, შვიდი ვაჟიშვილი და სამი ქალი. ბედნიერად სცხოვრობდნენ, მაგრამ ერთი გარემოება აწუხებდათ მათ, ამ ოჯახს მეთერთმეტე ბალღი ემატებოდა, თან-კი ამ ფიქრში იყვნენ, როგორმე გაებარებინათ პაწია სადმე, რადგან ბავშვების დედა ძალიან დასუსტებული და მოღლილი იყო მათი მოვლა-პატრონობით.

სამმა მგზავრმა გზას გადაუხვიეს და სახლთან მივიდნენ, ამ დროს გლეხი შინ არ იყო. გლეხის მეუღლემ სტუმრები

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახლში მიიპატიჟა, გაუმართა ვახშამი და შემდეგ სამთავენი ცალკე ოთახში მოასვენა.

სოფელი ძილში გასჩვეულიყო. აქა იქ გაისმოდა ძაღლების ყეფა და სოფლის წყვდიად სიჩუმეს მათი ხმა არღვევდა. ყველას ეძინათ, მაგრამ გლეხის ოჯახი-კი ფეხზე იდგა. ოთახიდან ისმოდა ხმაურობა.

სამი გზავრი სოვდაგრები იყვნენ.

სოვდაგრებსაც გაფრთხობოდათ ძილი და უჩუმარნი ყურს უგდებდნენ ოჯახურ გარემოებას.

უეცრად ოთახში გაისმა უცნაური ხმაურობა, სახლმა ზანზარი დაიწყო და მთელი ოთახი სინათლემ მოიცვა, ისეთი მჭვირვალე და ლაპლაპა სინათლე იყო, რომ ვერცერთი სოვდაგრის თვალებმა ვერ გაუძლეს მის შუქს, ლოგინში ჩაყვეს თავები და გაინაბნენ, შეშინდნენ, მთელი ტანით ცახცახი დაიწყეს.

— დიდება გამჩენს!— გაისმა წყნარი, ნაზი ანგელოზის წკრიალა ხმა.

— ახლად დაბადებული ბედნიერი იქნება,— სთქვა მეორემ.

— აქ სოვდაგრები არიან, პაწია გახდება ერთ-ერთის მემკვიდრე,— სთქვა მესამემ.

უეცრად დაიჭექა, მიწა შეინძრა და კუმეტი სიბნელე დაწვა დედამიწაზე; სამივე ანგელოზნი ოთახიდან გაქრნენ.

თავზარდაცემულნი სოვდაგრები გონზე მოვიდნენ და შეექმნათ თათბირი, თუ როგორ ჩაეგდოთ ხელში პაწია ყრმა. ყველა შეწუხდა, არ იცოდა, თუ ვისი მემკვიდრე გახდებოდა პატარა, ეს გარემოება უკლავდა მათ გულს. ლაპარაკის შემდეგ გადასწყვიტეს, რაც უნდა ძვირად დასჯდომოდათ ეყიდათ ბავშვი და მოეკლათ იგი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ორ მთებს შუა აფერადებული წალკოტი ძმკლუცად გამო-ყურებოდა. ცელქად მოთამაშე ანკარა წყარო კისკასად ჩაურ-ბოდა მდელოს და ათასფეროვან ყვავილთა გროვას თავს ევ-ლებოდა. წყნარი ნიავი ლაღად დასეირნობდა მინდორზე და ტურფა ყვავილებს ალერსით ეჩურჩულებოდა, შუა დღე იყო... სოვდაგრები კალათით ხელში გაჩერდნენ ტყის პირას, კალათას ახადეს და ზიზღით ჩახედეს შიგ.

ჰაწია ერმამ წყნარად გაიღიმა-გაიცინა, მალე გამაგრილე-ბელმა ნიავმა შეაკრთო და სახე შეუცვალა.



ერთმა დააპირა დაეხრჩო ერმა.

— ნუ დამანახვებ, მამიავ, უმანკო ერმის ტანჯვას, ჩვენ ნუ ჩავიდენთ ამ ცუდ საქმეს, თორემ უბედურობა თავს დაგვა-ტყდება,—უთხა მეორემ.

— მაშ რა ვუყოთ?—შეეკითხა პირველი ამხანაგს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— აქ ტყეში დავტოვოთ, ამაღამ ხომ იცი ნადირი შეჭამს ამ ხუჭუჭა თმიან ბიჭიკოს!—უთხრა მესამემ.

ბავშვი ტყეში დასტოვეს, სამივენი გაუდგნენ გზას.

—o—

— შვილო, ეს სამი დღეა ვითმენ, მაგრამ ახლა-კი მოთმენა აღარ შემიძლიან, მითხარი რათ სწველი ჩემს თხას?!

მწყემსი ეფიცებოდა, მაგრამ დედაბერმა არ შეიწყნარა მისი ფიცი-მუდარა და გადასწყვიტა ჩუმად, ფარულად გაჰყოლოდა კვალდაკვალ, ეთვალთვალა, ზედ წაესწრო და დაეტუქსა მწყემსი.

მწყემსმა მოუალერსა ცხვრებს, შემდეგ შეფინა მინდორზე. შუადღისას საწყემსო დიდ მუხის ქვეშ დაყარა, თითონაც ახლო ხის ქვეშ წამოწვა, ამოიღო სალამური და ააკვნესა.

მწყემსი რომ თავის მოღლილ-მოქანცულობას სალამურის ნაზი ხმით იქარვებდა, ამ დროს დედაბერი ტყის პირიდან გაჰყურებდა. მწყემსს ცხვრები ერთად ეყარნენ და იცოხნებოდნენ, მაგრამ თხა განზე იდგა და თითქოს რაღაცას ელოდა, თანაც თითქოს ცდილობდა პატრონს არ შეემჩნია.

მწყემსმა სალამური გვერდით დაიდო, თავი ჩაღუნა და ჩაეძინა, თხასაც თურმე ეს უნდოდა, უეცრად ისკუპა, შეჰკრა კამარა და ტყეში შეერია. მას დაედევნა დედაბერი, თხა იქვე მოშორებით მწოლარე ბავშვთან მიიჭრა, გაფოთებული მიუალერსა, შემდეგ გადააბოტა ზედ და პირში ძუძუ ჩაუდო.

დედაბერმა რამდენიმე ნაბიჯი წინ გადადგა და გაჩერდა. თხამ დაანაყრა ბავშვი, დინჯად გადააბოტა ფეხები, ერთი კიდევ დახედა და დააპირა უკან გაბრუნება, მაგრამ დედაბერს თვალი შეასწრო და ემაწვილთანვე გაჩერდა.

დედაბერი მიუახლოვდა და გაკვირვებით დაუწყო მშვენიერ ემაწვილს შინჯვა, არ სჯეროდა, თუ იგი ადამიანის შვილი იყო

ეროვნული ბიბლიოთეკა

და, რა დარწმუნდა, რომ ბავშვი განგებ დატოვებული იყო ტყეში, შეეცოდა, აიყვანა და გულში ჩაიკრა.

თხა შეკუნტრუშდა და მხიარული დაედევნა დედაბერს.

—o—

ყრმა გაიზარდა, ათი წლის ბიჭიკო მომეტებულ დროს თხის მოვლას ანდომებდა; უგლეჯდა ხასხასა ბალახს და მით ჰკვებავდა. ბებერი თხაც თანაგრძნობით ფეხ და ფეხ უკან დასდევდა თავის ნაპოვნელას. ასე ეძახდა დედაბერი ბიჭიკოს.

დედაბერიც ბიჭიკოს შემყურე თითქოს გაახალგაზრდავდა და გამხნევდა: ყოველ დღე მასზე ზრუნავდა, მას ეალერსებოდა და უვლიდა დედაზე უკეთესად.

ერთ დღეს ახლო სოფლიდან დედაბერს ეწვია სტუმრად მისი საგვარეულოს ნათლიმამა ცნობილი და სიმდიდრით განთქმული სოვდაგარი.

სტუმარმა და დედაბერმა ბევრი ილაპარაკეს, საღამო რო მოახლოვდა დედაბრის ეზოში გაისმა ხმაურობა; მწყემსმა ცხვრის ფარა მორეკა, ნაპოვნელაც თავის თხასთან ერთად ოთახში შემოვიდა. ბიჭიკომ დედაბერი დაჰკოცნა და გვერდით მოუჯდა.

— რა მშვენიერი ვაჟიშვილი გყოლია!— მიმართა სტუმარმა ბებერს.— შენი შვილია?

— ნაპოვნელაა, შვილო!— მიუგო ბებერმა.

— როგორ თუ ნაპოვნელაა?— წამოიძახა განცვიფრებულმა სტუმარმა და ყურები სცქვიტა.

ბებერი მოუყვა ლაპარაკს, სად ან როდის იპოვა, როგორ აწოვებდა თხა და სხვა...

სოვდაგარმა ფერი დაჰკარგა.

— ავად ხომ არ ბრძანდები!— შეეკითხა დედაბერი.

გაფითრებულს სტუმარს ხმის ამოღების თავი არა ჰქონდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— არაფერია, გაივლის, მხოლოდ... შინაურ საქმეზე შევწუხდი, და, თუ გიყვარდეთ, თქვენი ნაპოვნელა ხვალე მათხოვეთ, შინ წერილს გავატან.



— ნაპოვნელაა შვილო!..

ძალდატანებით ამოილაპარაკა, იცრუა ბებერის წინაშე. სახე შეშლილმა სოვდაგარმა რომელიც ერთი იმ მგზავრთაგანი იყო, რომლებმაც ბავშვი დასტოვეს ტყეში. სოვდაგარმა ბებრისგან დასტური მიიღო, და ცოტა არ იყოს დარდი გულიდან მოეშო. მეორე დღეს დილით ადრე ნაპოვნელა წერილით და მისი განუყრელი მეგობარი თხა მიჰქროდნენ სოვდაგრის სოფლისკენ.

გ. კოლელიშვილი.

(დასასრული იქნება).

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ქარი.

ქარი ჰქრის, ზუზუნებს,
ხან უსტვენს, გუგუნებს.
შრიალებს, ტრიალებს,
ხმა მაღლა ღრიალებს.

ბიჭებო, ღრუბლები
ზეცაში დარბიან,
ნაგლეჯნი, ნაფლეთნი
დამფრთხალნი გარბიან.

რა ცივა, რა ცვივა!
ფოთლები ხეს სცვივა?
ჰაერში ფრიალებს
მიწაზედ შრიალებს.

ხე გმინავს, წუწუნებს,
ჰყვირის და გრიალებს.
ჰახჰახებს, ტოტს ამტვრევს
ცაშივე ტრიალებს.

დაბლა სცემს მიწაზე
შორს ისმის მის გმინვა.
დედილო, შეხედე
რა ცივა, რა ცივა!..

დედილო, ეს ქარი
სასტიკი რათ არი?
რათ ამტვრევს ტოტებსა
და ძირს ჰყრის ფოთლებსა?

გ. კოლელიშვილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჩვენებური ფრთოსნები.

## გუგული

მადგება თუ არა სანატრელი გაზაფხული, გაიფოთლება ტყე და ჩვენც გავიგონებთ გუგულის ხმას. სად იყო აქამდის გუგული? რატომ არსად არა სჩანდა? ის ქს არის დაბრუნდა ცხელ ქვეყნებიდან, სადაც გაატარა ზამთარი და, როდესაც იგრძნო გაზაფხულის მოახლოვება, მოფრინდა საქართველოში.

რა მიზეზია, რომ გუგული ზამთარს ჩვენს ქვეყანაში არ ატარებს? რატომ მიფრინავს ის ცხელ ქვეყნებში, მაგალითად-სამხრეთ სპარსეთში და ჩრდილო აფრიკაში? ამის მიზეზი ის არის, რომ გუგული მხოლოდ მწერებით იკვებება,—მწერები კი, როგორც ვიცით, ზამთარში მიბუდებულნი არიან და არსადა სჩანან. თიბათვის ნახევრამდე ისმის მამალი გუგულის ხმა და მერმე მიყუჩდება ხოლმე, მაგრამ გუგული ჯერ ისევ აქ არის. მას კიდევ ბევრი საკვები მოეპოვება. დადგება ენკენისთვე, გუგულს საკვები ელევა და ის მიფრინავს ისევ ცხელ ქვეყნებში, სადაც მუდმივი ზაფხულია.

გუგული სჭამს უმთავრესად იმნაირ მწერებს, რომელნიც მცენარეულობისთვის მავნებელნი არიან და ამით მოაქვთ დი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დი სარგებლობა. მართალია ბევრი სხვა ფრინველიც იკვებება მწერებით, მაგრამ მხოლოდ გუგული აკარებს პირს ბუსუსიან მატლებს, ესენი კი ტყეებში ფოთლებსა სჭამენ და აზიანებენ ხეებს.

ერთის შეხედვით გუგული მიმინოს წააგავს, ტანიც იმოდენა აქვს, მაგრამ, რომ დაუკვირდეთ, დაინახავთ, რომ გუგულს კუდი უფრო გრძელი აქვს, ნისკარტი-სუსტი და მიმინოსავით მოკაუჭებული არა აქვს ფეხის თითები ისე აქვს მოწყობილი, რომ ორი თითი წინ აქვს წამოწეული და ორიც უკან.

გუგულს ხშირად პატარა ჩიტების გუნდი დასდევს უკან. ეს იმიტომ, რომ პატარა ჩიტებს ეჯავრებათ გუგული, და მართლაც ბევრი რამ აქვს გასაჯავრებელი. საქმე იმაშია რომ ის ბუდეს არასოდეს არ იკეთებს. კვერცხებს კი პატარა ჩიტების ბუდეში სდებს, რა თქმა უნდა მათი იქ არა ყოფნის დროს. ის ეძებს ისეთი ჩიტების ბუდეს, რომელნიც მასავით მწერებით იკვებებიან. ამიტომ არის რომ გუგულს უყვარს ტყის პირები და ჭალები. ის იქ ადვილად პოულობს მრავალ პატარა ჩიტების ბუდეს. კვერცხებს გუგული უფრო ხშირად ჯერ მიწაზე სდებს, მერმე იღებს პირით და ბუდეში აწყობს. მისი კვერცხები პატარა ჩიტების კვერცხების ზომისაა, და ხშირად იმნაირივე ფერისაც.

ამით თავდება მისი ზრუნვა თავის შთამომავლობაზე. ამ მოვალეობას ის აკისრებს დაყოს, ბულბულს, წყალ-წყალას და სხვებს.

დიდი ამაგი ეხარჯება დედობილს ბარტყების აღზრდაში. გუგულის ბარტყი ძალიან მჭამელია, და დედობილს მთელი დღე უხდება საჭმელის ძებნა. ბარტყი კი ხშირად სამჯერ დიდია თავის აღმზრდელზე; ეს უკანასკნელი კი მაშინაც არ ეშვება შვილობილს, როცა ის ფრენას სწავლობს, მაშინაც უზიდავს საჭმელს. გუგულის ბარტყი ცოტა რომ მომაგრდება ბუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დეში, ნელნელა თავის დედობილის ნამდვილ შვილებს ჩამოჰყრის ხოლმე ბუდიდან.



მეცნიერნი დიდი ხანია იკვლევდნენ იმის მიზეზებს თუ, რატომ გუგული თავის საკუთარ ბუდეს არ იკეთებს, ბოლოს შემდეგ დასკვნას დაადგნენ: რადგან თვითონ გუგული ძალიან მჭამელი ფრინველია და ამნაირივე ბარტყები ჰყავს, ის იმდენ საზრდოს ვერ იშოვის, რომ თავისი თავიც გამოჰკვებოს და შვილებსაც მიაწოდოს.

სხვა ქვეყნებშიაც არიან სხვადასხვა ჯიშის გუგულები; ისინი განსხვავდებიან ჩვენებურ გუგულისაგან მხოლოდ გარეგან შესახედაობით, ზნე-ჩვეულობა კი ისეთივე აქვთ, როგორც ჩვენებურ გუგულს.

ვ. საყვარელიძე.

# ჭიანჭველას საოცარი თავგადასავალი.

## V.

ძვირფასი ბალღების დაღუპვა,—მტერის გარეკა,—ტყვედ წამიყვანეს.

უეცრად სამშობლო ქალაქის კედელი დაინგრა მტრები, წითურები, შემოცვივარდნენ...

დარაჯები მოჰკლეს, შემოცვივდნენ ქუჩებში, ზოგიერთმა კი ჯირ და ჯირ კედელი გაამტვრა და საბავშო ოთახში შემოცვივდნენ. მთელი ქალაქი დაიარეს და დარბევას შეუდგნენ.

—მომყევით, ამხანაგებო! მე აქ ნამყოფი ვარ და ვიცი სად მალავენ ბალღებს,—მომესმა ნაცნობი ხმა. მაგრამ საბავშო ოთახში ბავშვები ცოტაღა დარჩა,

მირს წავიდეთ: მიწაში ჰყავთ დამალული ბავშვები, უყვიროდა ნაცნობი ხმა. ყაჩაღები შეცვივდნენ მიწის ქვეშ, უბეებით იტაცებდნენ ბალღებს ბუდიდან, მალით გამოსტაცებდნენ ხოლმე გამდლებს, და ფრთხილად მიჰქონდათ. ჩვენი დედები, გამდელები, მამები და ჩვენ დავრბოდით საშინლად აღშფოთებულნი, ვეცემოდით მტრებს, ვეჭიდებოდით ფეხებში და ვევედ-

რებოდით: „საბრალო ჩვენი ბავშვები! საით მიგყავთ? არ მოგცემთ! არ მოგცემთ! რისთვის რისთვის აწვალებთ? რა დაგიშავეს? ბოროტებო, ყაჩაღებო!“



—ძმებო, ნუ უთმობთ, წავართვათ!—ვყვიროდი მე სასოწარკვეთილებით და ხან ერთს ვეცემოდი ფეხებში, ხან მეორეს. მაგრამ ამაოდ. მტერი მიდიოდა ქალაქიდან ან კვერცხით, ან ფუმფლით ხელში. სუყველა ისინი იყვნენ ჩვენი მომავალი მუშაკნი. ახლაც ვერ გამიგია, როგორ არჩევდნენ ისინი კვერცხებში სწორედ მათთვის სასურველს, ესე იგი—მუშებს.

როდესაც კარგად გაგვძარცვეს, მტრები აუჩქარებლად შინ დაბრუნდნენ. ამ საშინელი სურათის დანახვის ატანა არ შემეძლო და დავიძახე:

—დავედევნოთ, ბალღები წავართვათ, ან მოვკვდეთ იმათთან ერთად!

და ჩვენ—რამოდენიმე გულადი ჭიანჭველა დავედევნეთ მტერს. ვევედრებოდით, ბალღები უკან დაებრუნებინათ, მაგრამ ჩვენ თხოვნას ყურსაც არავინ უგდებდა.

— შენ, ძმაო, ნამეტანი ჩქარი ყოფილხარ, ნამდვილი ცეტი,—მიიხრა ერთმა მათგანმა. დაიცა, შენც თან წაგიყვან,—მომჭიდა მაგარი ვეებერთელა ყბები და წამათრია.

მეც თავს ვიცავდი და ჩვენებს დავუყვირე:

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგრამ გვიანღა იყო, ყოველ მხრივ მტრები მეხვივნენ. ვიფიქრე, რომ ჩემი უკანასკნელი დღე დადგა.

— მშვიდობით სამშობლოვ, ჭერკულესო, ბალდებო, ბებერო გამდლებო, სუყველავ მშვიდობით! მოვიდა ჩემი აღსასრული. დაჭკლეჯენ და შესანსლავენ ჩემ სხეულს წითური ბარბაროსები,— ვფიქრობდი მე,—მშვიდობით, სუყველავ მშვიდობით, ცუდად ნუ მომიგონებთ!

კაკი.

(შემდეგი იქნება)



ჩიტების სასტუმრო.



# სიცილი თოვლში.

ჰა-ჰა-ჰა-ჰა! ერთი შეხეთ,
ეს რა მოსდის ფეხმარდ ნიკას:
უცბად ციგა უბრუნდება,
დაიტეხავს ცხვირ-პირ-ნიკაპს.

სიმწარისგან ჩუმად სტირის,
თუმცა კვდება ხითხითითა.
წამომხტარი მეგობრებთან
დასრიალებს იხვივითა.

ზამთარია... თოვლის მოსვლას
ციგაცა და ცრემლიც უნდა.
შეხეთ, შეხეთ, დაუშინეს
ყმაწვილებმა თოვლის გუნდა.

მოხვდა ნიკას. კოტრიალობს.
იქ სიცილი, აქ ტირილი...
რას უშველის „ვაი-დედა!“
ან ჩივილი, ან ყვირილი?!.

ჰა-ჰა-ჰა-ჰა! ერთი შეხეთ
ეს რა მოსდის საწყალ ნიკას:
ცხვირ-ნატეხი დაბუხული
ძლივს მიათრევს გამტყდარ ციგას!..

დ. კასრაძე.

ეროვნული
ბიბლიოთეკა




# რ ე ბ უ ს ი.

(წარმოდგენილი სერგო და გიგა ჭელიძეების მიერ).

 ,  , პატარა მთ-ფვრებით? „  "

ძ
ა  ,  ნ  ვ„

## მე-2 ნომერში მოთავსებული რებუსების და თავისა-ტეხის ახსნა.

1. ერთი თხილის გული ცხრა ძმამ გაიყო.
2. მელია ეშმაკი ცხოველია.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | | შ | | | |
| | ე | ნ | ი | ს | ა | |
| ხ | ე | ლ | [illegible] | დ | ა | გ |
| | | ვ | [illegible] | რ | | |
| | | | ი | | | |

[library stamp]

მიიღება ხელის მოწერა

**1920 წ.**

წლისათვის

# დასურათებული საყმაწვილო ჟურნალი „ნაკადული“

(წელიწადი მეთექვსმეტე)

ჟურნალს სუბსიდია ეძლევა განათლების სამინისტრო-საგან. გამოდის გაფართოებული პროგრამით საგან-გებოდ მოწვეულ სარედაქციო კომისიის ხელმძღვა-ნელობით.

მცირე წლოვანთა და მოზრდილთათვის

ჟურნალი გამოვა: მცირე წლოვანთათვის თვეში ორჯელ.
„ „ მოზრდილთათვის „ ერთჯელ.

წლიურად ორივე გამოცემის ფასი 150 მან.
ცალ-ცალკე . . . . . . . . . 85 „
ნახევარი წლით . . . . . . . 90 „

1. ერო…
2. მელი… **ამართი:** თბილისი **„ნაკადულის“** რედაქცია, რუსთაველის …ილი გოლოვინის) პროსპექტისა და დავითის ქუჩის კუთხე, შემო-…ვლელი დავითის ქუჩიდან № 2, ტელეფონი № 7—5.

რედაქტორი **ნინო ნაკაშიძე.**

გამომცემელი **თ. პავლე იოსების ძე თუმანიშვილი.**

…ქალაქთა კავშირისა.